



## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს №991/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი „DIANAT“ დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის. აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საფუძველი განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქართველოში რეგისტრაციაზე უარის თქმისა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მე-5 კლასის საქონლისათვის.

აპელანტის აზრით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავებადობა, რომელიც საკმარისია იმისთვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევაც.

აპელანტის აზრით, ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად – განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართული მომხმარებლის მიერ წარმოითქმის როგორც დი-ა-ნატ, ხოლო დაპირისპირებული: დი-ა-ნა-ტალ. აპელანტის აზრით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები განსხვავებულად წარმოითქმის. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს განსაკუთრებულ განმასხვავებლობას სძენს დაბოლოვება „ალ“, რომელიც დამატებითი ელემენტია დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში და ანიჭებს ნიშანს იმ დონის განსხვავებადობას, რომ მისი აღრევა განცხადებულ სასაქონლო ნიშანთან არ მოხდება. განსხვავებულია ნიშნებში მარცვლების რაოდენობაც, რაც ფონეტიკური თვალსაზრისით ნიშნებს კიდევ უფრო განსხვავებულს ხდის.

აპელანტის აზრით, განსხვავებულია ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისითაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტანდარტული ლათინური ასომთავრული შრიფტით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანიც ლათინურ ასომთავრულ ანბანზეა ჩაწერილი, მაგრამ დამატებით შეიცავს ასოების „AL“ დაბოლოვების სახით: DIANAT – DIANATAL. მიუხედავად ნიშნების ვიზუალური მსგავსებისა, აპელანტი თვლის, რომ საკმაოდ განსხვავებულია სასაქონლო ნიშნების ბოლო ნაწილები - „NAT“ და „NATAL“. დაპირისპირებულ ნიშანში დამატებითი ასოები „AL“ ანიჭებს ნიშანს საკმაოდ განსხვავებადობას, რაც აღრევის შესაძლებლობას გამორიცხავს.

აპელანტის აზრით, მიუხედავად ერთდაიგივე მე-5 კლასისა, საქონელი არაერთგვაროვანია და შესაძლებელია მისი იმგვარი გამიჯვნა, რომ არ მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

დაპირისპირებული საქონლის ჩამონათვალი მე-5 კლასში მოიცავს შემდეგ საქონელს: „ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები, ბავშვთა კვება; პლასტიკები, გადასახვევი მასალა; კბილის დასაბუნე და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზიმფეცირებელი საშუალებები“. განცხადებული სასაქონლო ნიშნის ჩამონათვალი მე-5 კლასში ფარავს შემდეგ საქონელს: „მაგნე ცხოველების განადგურებისათვის და მოსპობისთვის განკუთვნილი პრეპარატები, ფუნგიციდები, ჰერბიციდები, პესტიციდები“.

მიუხედავად საქონლის აშკარა არაერთგვაროვნებისა აპელანტი აღნიშნავს, რომ ფარმაცევტული საქონელი არ არის სწრაფად შესაძენი საქონელი, მისი შექმნისას მომხმარებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს როგორც საქონლის დასახელების ისე მისი მწარმოებლის მიმართ და ყიდულობს მას, როგორც წესი, ექიმის დანიშნულებით და მხოლოდ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ. ფარმაცევტულ პროდუქციას მომხმარებელი შეიძენს მხოლოდ შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ და უფრო ხშირად მხოლოდ მისი დანიშნულებით და რეცეპტით, რაც გამორიცხავს შეცდომას და აღრევას მაგნე ცხოველების განადგურებისა და მოსპობისათვის განკუთვნილ პრეპარატებთან, ფუნგიციდებთან, ჰერბიციდებთან და პესტიციდებთან. მეტიც, აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნით განცხადებული პროდუქცია და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით დაცული საქონელი მიუხედავად ერთდაიგივე მე-5 კლასისა იყიდება სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში, მათი ერთდაიგივე სავაჭრო ქსელში გაყიდვა აპელანტის აზრით, დაუშვებელი უნდა იყოს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მომხმარებელი არ იქნება შეცდომაში შეყვანილი და ამ საქონლის და მათი მწარმოებლის აღრევა არ მოხდება.

აპელანტის აზრით, აშკარაა ნიშნების ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავება, აგრეთვე საქონლის არაერთგვაროვნებისა და სპეციფიკურობის გამო, თვლის, რომ არ მოხდება მათი აღრევა. შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშნის „DIANAT“ საქართველოში რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს №991/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი „DIANAT“ და დაპირისპირებული ნიშანი „DIANATAL“ აღრევამდე მსგავსია. განცხადებული ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი. აპელანტის ნიშანი შედგება ექვსი ასოსაგან და წარმოადგენს სტანდარტულ სიტყვიერ ნიშანს, ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი არ შეიცავს არანაირ დამატებით გამოსახულებით ელემენტს და ასევე სტანდარტული შრიფტით არის შესრულებული. იდენტურია ნიშნების პირველი ექვსი ასო „DIANAT“, ამავდროულად დაპირისპირებული ნიშანი მთლიანად მოიცავს განცხადებულ ნიშანს. ვიზუალური თვალსაზრისით კოლეგიის აზრით, სადაო არ არის აღნიშნული ნიშნების აღრევამდე მსგავსების საკითხი. რაც შეეხება ნიშნების სხვა კრიტერიუმებით მსგავსებას კოლეგია მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული ნიშნები ასევე მსგავსია ფონეტიკურად. ერთი გამოითქმის როგორც „დიანატ“, ხოლო მეორე როგორც „დიანატალ“. მხოლოდ ბოლო ორი ასოს განსხვავება არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის ფონეტიკურ განსხვავებას და ისინი მათი იდენტური საწყისი ელემენტების გამო ძალზედ მსგავსია ფონეტიკურად.

რაც შეეხება ნიშნების სემანტიკურ დატვირთვას კოლეგიის აზრით, გამომდინარე იქედან, რომ ორივე ნიშანი ფანტაზიური ნიშანია უფრო მეტად იზრდება მათი აღრევის შესაძლებლობა. კოლეგიამ არ გაიზიარა მოსაზრება საქონლის არაერთგვაროვნებასთან დაკავშირებით. ამასთან, დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და მსგავსია განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვლისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს განცხადებულ „DIANAT“ და დაპირისპირებულ ნიშანს „DIANATAL“ მსგავს ნიშნებად და თვლის, რომ განცხადებული ნიშნის



